საქართველოს პარლამენტის
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომის
ოქმი N17

ამონაწერი

სხდომას უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე. სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები: ქანთარია ალექსანდრე, ჩაფიძე ელისო, ჭკუასელი თეიმურაზი, ჯაფარიძე თამაზი, ქავთარაძე გიორგი, საყვარელიძე ფრიდონი , რატიანი სერგო, ლონდარიძე ტარიელი, მახარაძე მიხეილი, მეგრელიძე ომარი, ბუკია გიგა, ჯაფარიძე ზურაბი (ვაშაძე გიორგი - უფლებამონაცვლე) , საჯაია მარიამი (ნაყოფია კობა - უფლებამონაცვლე), არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები, აპარატის წევრები, მასმედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგი

1. საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განხილვა მეორე მოსმენით.

(**დავით ლომინაშვილი** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი)

2. საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტების: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქ. კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქ.კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქ.კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განხილვა მესამე მოსმენით.

(**დავით ლომინაშვილი** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი)

3. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტების: „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხილვა.

(**ზურაბ ტყემალაძე** - დარგობრივი ეკონომიკისა და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე)

4. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ინიციატივის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ განხილვა.

(ელისო ჩაფიძე -კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)

4.მოისმინეს კომიტეტის წევრის ელისო ჩაფიძის მოხსენება წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადების „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონპროექტის მიღების მთავარი მიზანია მედიის გათავისუფლება პოლიტიკური გავლენისაგან და მედიასაშუალებების დაფინანსების გამჭვირვალობა. ასევე სამეურვეო საბჭოს ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია ფორმირებისა და პასუხისმგებლობის წესების შეცვლა. სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა მცირდება 9 წევრამდე. საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატებს კი საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად, შეარჩევს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ყოველი კონკურსისათვის საგანგებოდ დარგის სპეციალისტებისაგან შექმნილი კომისია.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონს ასევე ემატება თავი სახელწოდებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელიც აწესრიგებს აჭარის რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებლის, მისი ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირების და საქმიანობის წესებს.

წარმოდგენილი წინადადების გარშემო გაიმართა მსჯელობა და დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გაზეთ „რეზონანსი“-ს მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა, კომიტეტის წევრებმა: ელისო ჩაფიძემ , თეიმურაზ ჭკუასელმა, სერგო რატიანმა, ალექსანდრე ქანთარიამ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საზოგადოებრივი არხის თანამშრომლებმა და წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების ავტორებმა.

კომიტეტმა გადაწყვიტა:

კომიტეტმა, 10 მომხრე, 2 წინააღმდეგი და 2-მა თავი შეიკავა, მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკანონდებლო წინადადების მიღებას კომიტეტის მიერ განსახილველად.

მომხრე - 10
წინააღმდეგი-2
თავი შეიკავა-2

სხდომის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე

სხდომის მდივანი ლალი ლორია